№ 85 3 მაისი, ოთხშაბათი 1866—1878 3 მაისი, ოთხშაბათი № 85

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

დროება

ᲣᲬᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს დ. შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Даубеჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲬᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирагловის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

გაზეთის ფასი: თელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი მაისიდამ პირველ ივლისამდინ გაზეთი ღირს—2 მან., წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაშა გამოგზავნილ.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 30 აპრილს. დღეს, ნაშუადღევის 3½ საათზე, როდესაც იმპერატორი ვილჰელმი სეირნობიდამ უკან მოდიოდა, რამდენმეჯერ რევოლვერი ესროლეს იმას. იმპერატორი დაჭრილი არ არის. დანაშაულები იმწამსვე დაიჭირეს.

ბერლინი, 1 მაისს. აღმოჩნდა, რომ ორი ყოფილან ის პირნი, რომელთაც გუშინ იმპერატორის ვილჰელმის მოკვლა განიზრახეს; ერთი საქონიის ქვეშევრდომი ლემანი და მეორეც ქრიუგერი.

პეტერბურღი, 1 მაისს. გუშინ მოვიდა პეტერბურღში რუსის ინგლისელი ელჩი გრაფ შუვალოვი.

ბერლინი, 1 მაისს. ლემანი, რომელმანც გუშინ იმპერატორს ვილჰელმს რევოლვერი ესროლა, ამბობს რომ მესრულებით იმპერატორისათვის არ მისროლია და არც მინდოდა იმის მოკვლაო. იმან სთქვა, რომ ულუკმა-პუროთ ვიყავიო, ქუჩაში მინდოდა ჩემი თავის მოკვლაო იმ განზრახვით, რომ მდიდრებს მიექციათ ყურადღება და ამნაირად დაეწყოთ ზრუნვა იმათ ბედზე, ვინც ჩემისთანა მდგომარეობაში არიანო. ქრიუგერი, რომელიც ამ საქმის თაობაზედვე დაჭერილი იყო, უკვე გაათავისუფლეს.

ლონდონი, 1 მაისს. გაზ. „Times"-ში სწერენ: ენერალი ტოტლებენი დაემუქრა ოსმალეთის მმართებლობას, რომ, თუ ახლავე არ დაგვიომეთ შუმლა. ვარნა და ბათუმი, სტამბოლს დავიჭერო, ოსმან-ფაშამ გამოუცხადა ოსმალოს მინისტრების რჩევას, რომ ჩვენი ჯარით ვერ შეეაჩერებთო. ამისგამო, ტოტლებენის მოთხოვნილობით, ოსმალეთმა გადაწყვიტა, რომ ახლავე დაუთმოს რუსეთს ხსენებული ციხეები. ტოტლებენმა თავის არმია ადრიანოპოლში დასწია.

პეტერბურღის ბირჟა, 2 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოს.)

			მან.	კაპ.
ლონდონი—	„	„	„	„
ამსტერდამი—	„		„	„
ჰამბურგი— —	„	„	„	„
პარიჟი — —	„	„	„	„
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:				
პირველი სესხის	— —		228	—50
გეორგ სესხის	— — —		224	—25
ბანკის ბილეთები:				
პირველი გამოცემის	—		97	—25
მეორესი	— — — —		95	— „
მესამესი	— — — —		95	— „
მეოთხესი	— — — —		95	— „
აღმოსავლეთის	— —		94	—15
ოქრო, ½ იმპერიალი—			8	—45

საქართველო

სპარსეთის შაჰის მოსვლა

დღეს, პირველ საათზე ქალაქში მოვიდა სპარსეთის შაჰი. მთავრობისაგან დანიშნულის ცერემონიით იმას შემდეგის წესით დახვდნენ:

თფილისიდამ პირველ სტანციაზე გაგზავნილი იყო საკუთარი მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკის კანვოის კამანდა, რომელმაც გამოაცილა თფილისამდინ.

ქალაქის წრესთან დაუხვდა მის დიდებულებას თფილისის მთავარ პოლიციმეისტერი და ჟანდარმების უფროსი ყაზახებითა და ჟანდირმებით.

დამოჟანასთან მიეგებნენ: მთავარ-სამართველოს უფროსი ენ.-ლეიტენანტი სტაროსელსკი, ლუბრნიის და უეზდის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი თავადაზნაურებით, ქალაქის თავი უფალი ციფიანი, ქალაქის გამგეობის წევრნი, ხმოვანნი და აგრეთვე ამქარი თავიანთი უსტაბაშებით. აქვე დაუხვდა იმას თფილისში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომნი. ქალაქის თავმა მიართვა იმას პური და მარილი.

ქალაქში შემოსვლის დროს ზარბაზნის სროლა იყო. ნამესტნიკის სასახლესთან გაჩერებული იყო. საპატიო ყარაული და მუზაკა.

თანაშემწე მთავარ-მმართებლისა მისი ბრწყინვალება თ. სვიატოპოლკ-მირსკი დაუხვდა შაჰს სასახლის კარბეთან; აქვე იყვნენ გაჩერებულნი ენერალები.

შიგ სასახლეში შაჰის მისაგებლად მოგროვილნი იყვნენ სამოქალაქო უწყების უმთავრესი ჩინოვნიკები...

პირველ საათზე სპარსეთის შაჰი შემოვიდა ქალაქში. დამოჟნიდამ დაწყებული, მთელი ბაზარი, სასახლემდინ სულ გავსებული იყო ყოველგვარი მაყურებლებით. მაღაზიებში, ფანჯრებში და ბალკონებზე ფერად-ფერადი ბაირაღები, ხალიჩები, ჩითები და სხვა ათასგვარი წითელ-ყვითელი საქონელი იყო გამოფენილი. მთელი ეს გზა ხალხი „ურას" ძახილით მოჰყვებოდა...

შაჰი გადაშლილ კალასკაში იჯდა; იმის წინ იჯდა სპარსეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი. უკან რიგ-რიგზე მოდიოდნენ ფაეტონები, რომელშიაც ისხდნენ შაჰის მხლებლები (ამალი). ფაეტონების შემდეგ მოსდევდნენ: სპარსელები თავის ჩინებულად ნაქარგის ბაირაღით, ქალაქის ამქარი, ზოგიერთი ჩვენი თავად-აზნაურები და სხვ. და სხვ.

საღამოს ქალაქი, განსაკუთრებით ბალავინის პროსპექტი და სასახლის ქუჩა ფერად-ფერადი ჭრაქებით და ფანრებით გაჩირაღდნებული იყო.

შაჰი ნესრ-ედდინ ორმოცი წლის კაცსა ჰგავს. თავი უჭირავს ისე, როგორც მეფეს, დიდებულ პირს შეეფერება. სასიამოვნო შესახედავი კაცია, თუმცა ცოტათი მოყვითალო. ქალაქში რომ შემოვიდა, სულ უბრალო ტანისამოსი ეცვა; მხოლოთ გულზედ ჰქონდა ერთი რაღაც ფოლაქი თუ ქინძის-თავი, რომელშიაც უკანასკნელი ცერის-ოდენი ბრილიანტი იყო ჩაყენებული...

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** **ᲒᲣᲨᲘᲜ,** 1 მაისს, ჩინებული ღღე დადგა და ამის გამო მოქეიფე და მომხიარულე ხალხი ძალიან ბლომათ შეიკრიბა თფილისის გარეშემო ბაღებში.

*** **ᲩᲕᲔᲜ** გვითხრეს, რომ სოფ. თიანეთშიც იმართება ისეთი „დამზოგველი ამხანაგობა", როგორიც შარშანდელს

აქეთია არსებობს სოფ. საგარეჯოში (Iკრის ამხანაგობა).

რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარ ამხანაგობით გამრავლება ჩვენში ძლიერ სასარგებლო იქნება; ამის წყალობით, ცოტაც არის განთავისუფლდება ჩვენი სოფლის ხალხი იმ წურბელა—ვაჭრებისაგან, რომელნიც უკანასკნელ სისხლს სწოვენ იმათს.

*** Iმერეთის მემამულე ფრანცუზი ლონგელი იწერება, რომ აქციზის შემოღებამ ძალიან დიდი ზიანი მისცა Iმერეთის წვრილმალ მემამულებსაო; ადრე თითქმის თითოეულ აქაურ მემამულეს პატარა ქვაბები ჰქონდათ არაყის სახდელად და მხოლოთ თავის საჭიროებისთვის ხდიდნენ; აქციზის შემოღების შემდეგ, ყველას „დაუბეჭდეს“ ეს ქვაბები, აქციზს ვერ უძლებენ და ამის გამო ჭაჭა ტყუილ-უბრალოთ ფუჭდებაო.

Iგივე უფ. ლონგელი ძავკაზიის სამეურნეო საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებაზედ, რომ მთელს Iმერეთში ტყეს დაუზოგველად, ოხრად სჭრიანო და ამის გამო Iმერეთის ბუნებას ახლაც დაეტყო საზიანო ცვლილება და შემდეგში უარესს უნდა მოელოდესო.

*** გასულ პარასკევს, 28 აპრილს, ძავკაზიის ტეხნიკურ საზოგადოებაში მთის ინჟინერმა უფ. ბაცევიჩმა სთქვა რამდენიმე სიტყვა ბელათისა და ტყიბულის ქვანახშირის თაობაზედ. უფ. ბაცევიჩის ჰაზრით, ბელათის ქვანახშირი ბევრად უფრო სუსტია, უფრო მდარე თვისებისაა, ვინემ ტყიბულის, რადგან გადატან-გადმოტანის დროს უფრო ადვილად იმტვრევა და დაწვის დროს ერთობ ბევრს ნაცარს სტოვებს.

მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად ლაპარაკი არის იმაზედ, რომ ამ ქვანახშირის მადნებამდინ რკინის გზის შტო გაიყვანონ; უფ. ბაცევიჩმა სთქვა, რომ ყველაზე უკეთესი იქნებაო, რომ ეს გზა წყალ-წითელაზე და ბელათზე გაიყვანონ ტყიბულამდინაო, რადგან მაშინ ბელათისაც და ტყიბულისაც ქვანახშირით სარგებლობა შეიძლებაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

თიანეთი, 29 აპრილს. რა ამბები ხდება ამ ჩვენს უბედურს თიანეთში ვერ წარმოიდგენთ. დაწყობილი სამ ამ თვიდამ, დღეს არის რვა რიცხვი, არსად ჩანს ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე; შავიტყეთ, ვითომ ქალაქს წასულიყოს. რასაკვირველია, ამ წასვლას არა ვითარიმე მნიშვნელობა არ მიეცემოდა-რა, უკეთუ უ. მომრიგებელი მოსამართლეს ამ დღეებში არ დაენიშნა საქმის გარჩევა.

ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი გაჭირვება, რომ ამ კვირია მოვდივართ დაბარებულნი და კარები სამართლისა დახშული არის. ვინც ექვს, შვიდს და რვას დაბარებულნი და მომჩივარნი ვიყავით, სამოც სულზედ მეტი შევიყარენით და როგორც უპატრონო ცხვრები დავდივართ და არ გაგვეგების—რისთვის ვცდებით ჩვენს სახლკარს და მუშაობას.

მივმართეთ ხან ჩვენს უფროსს ნაჩალნიკსა, ხან გამომძიებელსა და შევეხვეწეთ ჩვენი გაჭირვება, ამდენი მოცდენა ამისთანა მუშაობის დროს და ზარალიც, რადგანაც ეს სამი დღე უსაქმოთ ვგდივართ ამ თიანეთში და უკანასკნელ გროშს ვხარჯამთ დუქნებში, რადგან საგძალი შემოკვაკლდა. ნაჩალნიკმაც და გამომძიებელმაც ასე გვიპასუხეს, რომ ჩვენგან არ ხართ დაბარებულნიო და რა ექნათ, ვერას გიშველითო. ჩვენ გადგებედამდით წასვლას თავ-თავის სახლებში მაშინათვე, რამწავ შევიტყეთ, რომ მომრიგებელი მოსამართლე ქალაქში წასულა, მაგრამ, ბატონო, ჯარიმის გვეშინიან.

ვიბარებს უწყებით დილის რვა სათისათვის და ჩვენც ვინც მოშორებით ვართ, ღამითვე მოვალთ ხოლმე და ვგდევართ სუდის კარებთან; ახლა უცდით მომრიგებელ მოსამართლეს და როგორ თქვრობთ როდის მოვა ხოლმე სუდში? უმეტეს ნაწილათ მეორე საათზედ ნაშუადღევისასა და თორმეტ საათზედ ადრეკი არას დროს. წარმოიდგინეთ ბლეხიკაცი გაჩერებული დილის რვა საათიდამ პირველს და ორ საათამდე კარებზედ სამართლის, ხვა რომ არა ვთქვათ-რა, ვთქვათ წავიდა პურის საჭმელათ და ვაი იმისი ბრალი, როდესაც ეს მოსამართლე მოვა და იქ არ დაესწრება, მაშინათვე საქმეს მოსპობს თუ მოსასპობელია და თუ არა, ისეთს შტრაფს დააწერს, რომ ვერაფრით ვერ აუდგება: რაკი დაიწყება გარჩევასა, გაგძელებას ისე, რომ ბევრჯერ ღამის ორ სამ საათზედ თავდება საქმეების

ფელეტონი

ფვილდ-ისრით ნადიროობა.

ჩვენში არის ჩვეულება: პატარძალი რომ მიჰყავთ ხოლმე საქმროსას, ან მოჰყავთ, დიდ ცერემონიას გაუწეიენ; სხვათა შორის ის ჩვეულებაც არის, რომ ალაყაფის კარებზე (ჭისკარზე) გადასვლის შემდეგ ქალსა და იმის მაყრებს თოფებს მიაყოლებენ, ან და თუ მოჰყავთ ქალი, მაშინ მომსვლელებს შეხვდებიან თოფის სროლითა და სხვა ამბით.

ჩვენი ქალაქიც რასაკვირველია როგორც ქაქი, როგორც ისეთი ადგილი, სადაც ჩვეულებების მქონე ადამიანები ჰსცხოვრობენ, არ უნდა იქნეს მოკლებული ამ ჩვეულებას. მას ბევრი პატარძალი გაუსტუმრებია და ბევრი მიუყვანია. ბევრს კიდეც გაისტუმრებს და მოიყვანს. მაგრამ უბედურობაა, რომ ხშირათ ამ შემთხვევებში სხვა ცერემონიებს თოფის სროლა აკლია. ახლა ეს ნაკლულევანება მე შინდა გავასწორო; მაგრამ, რადგანაც თოფი არა მაქვს, ჩემს ისარს უნდა მოვკიდო ხელი და მიემართო ვისკენაც ჯერ არს.

ჩვენი პატარძლები ქალები არ არიან, მაგრამ წამსვლელებს ბევრი მზითევი მიჰყვებათ და მომსვლელებს არაფერი გააჩნიათ და რომ მოვლენ, მერმე შეიმოსებიან ბუმბულით, რადგან ისინი ეკუთვნიან იმ ცხოვრების რიგს, რომელშიაც ბღარტები ტიტველა იბადებიან და შემდეგ იმოსებიან ცხოვრების სამოსელით...

—

ბოგოლის კომედიაში „რევიზორში“, ვგონებ სასწავლებლების ზედამხედველი, ამბობს: „ღმერთმა ყოველი კაცი დაიფაროს სამასწავლებლო ნაწილში სამსახურისგანაო: ყოველი კაცი იქ ეჩხირება, ყველას უნდა, რომ თავი გამოიჩინოს, გვაჩვენოს, რომ დიდი ვინმეაო!“ ვგონებ ასე ამბობს. მართლაც. აიღეთ ახალი მასწავლებელი: შევა კლასში და ეტყვის ბოვშვებს: „თქვენთვის ჩემ წინა-მოადგილეს არაფერი უსწავლებია. ვინ მისცა იმას არითმეტიკის მასწავლებლობა! თქვენ სრულიათ არაფერი იცითო“ და სხვ. თავის სიტყვების დასამტკიცებლათ, მოჰყვება და მთელი კლასის შაგირდებს რიცხვით 60-მდის სულ ყველას თითოს ან ორზე მეტს ბალს არ დაუსვამს. ახლა წარმოიდგინეთ რა გაჭირვებით არიან ეს ყმაწვილები მიღებულნი ამ ერთის წლის წინეთ; სულ დრამობით იყო აწონილი მათი ცოდნა ეგზამენატორებისაგან, რომლებიც მუდამ იმას იძახიან, რომ კარგათ მომზადებული თუ არ იქნა, ვერ მივიღებთ ყმაწვილებსო!

საკვირველია, რანაირათ მოხდა, რომ სამოც კაცში, რომელიც მიღებულნი არიან სასტიკის ეგზამენიის შემდეგ, ნახევარმა, მეოთხედმა მაინც არ ივარგა?

შეიძლება, რომ ეს მოხდეს, თუ ამ ბაშვებს სვინდისიანათ მშრომელი მასწავლებელი ყავდათ? შეუძლებელია. რამდენიც უნდა ეზარმაცებია წინანდელ მასწავლებელს, მეოთხედი მისი შაგირდებისა მაინც უნდა გამომდგარიყო.

მაშ რას მიჰქარავს პატარძალი? „ღმერთმა ყოველი კაცი დაიფაროს სამასწავლებლო ნაწილისაგან!“ იქნება მას ჰგონია, რომ სათამაშოა არათუ სამოცი ყმაწვილის, არამედ ერთის ბედიც? რა ბედგოგია ის, რომ არაფერ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს და იმისთანა ზომას მივარდნია, რომელმაც შეიძლება ბევრ ბავშს წაუხდინოს გული? ახირებული შეხედულობაა თავის მოვალეობაზე!

Iმ იქცევიან, თითქო სასწავლებელიც და მოსწავლეებიც მიტომ იყვნენ ქვეყანაზე რომ მასწავლებლებმა თავისი ფილოსოფოსობა გამოიჩინონ ბავშვებთან და ჯიბეში ფულები იკუჭნონ. ბოვშვების გაცნობას კარგათ, მათ მომზადების შეტყობას, შეტყობას მისას თუ ბავშვები რა ზომებს და რა წესსა არიან მიჩვეულნი თავის საქმის კეთებაში უწინდელ მასწავლებელთან,—ყველას ამათ ალაგი არა აქვს ამ საკვირველ პედაგოგებში, და ბავშვები უბრალო მსხვერპლათ ჰხდებიან მათგან დამოუკიდებელ გარემოებებისა. ამბობენ, პედაგოგიური

გარჩევა. მიზეზიც ამისა ეს გახლავს, რომ მეორე საათზედ მობრძანდება მომრიგებელი მოსამართლე და ჯერ ერთი საქმეც არ ექნება გარჩეული, წამოხტება და გაიქცევა სახლში პურის საჭმელათ; გავიხედამთ და საღამოს ბინდის დროს მოვა და ერთი საათი ან ცოტა მომეტებული რომ გაივლის და ისევ წავა ჩაის დასალევათ, ახლა კიდევ ვახშამიო და სხვ. კი რანაირათ მიდის აქ მორჯულება „ჩქარი, მართალი და მოწყალე.“

ბუშინ ერთი სომეხი მოვიდა თელავიდამ დაბარებით სუდში და რომნახა მოსამართლე არსად არის, წაიშინა თავში და სთქვა,ეს მეორეთ მოვსულვარო, მეც ერთი ვაჭარი კაცი ვარო, დუქანი დამიგდიაო, რათ მიბარებენო, თუკი ქალაქში მიდიოდა ის მამაცხონებულიო! ჩვენც გულ-ნაკლულები, რასაკვირველია, თანაუგრძნობთ მაგრამ რას უშველით ამისთანა ყაენობას. იქნება ამ ყაყანით მაინც გვიშველოს და მიხედეთ ლმერთს, უფალს რედაქტორო, და ერთი თქვენ გაზეთში ჩააგდეთ ეს ჩვენი მწარე და გაჭირვებული მდგომარეობა; იქნება რამ წამალი საიდამვე დაგვედოს.

თიანეთელი

ს. ზვისტეზო

ოსმის ამბები

ოსმის შემდეგ

„პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ბათუმიდამ 14 აპრილს მიღებული:

„ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალოების ხელშია. ლენერალ ოკლობჟიოს შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ეაზბეგს რამდენჯერმე ჰქონდა მოლაპარაკება დერვიშ-ფაშასთან ამ ქალაქის დათმობაზედ, მაგრამ სულ ტყუილ-უბრალოთ და უნამყოფოდ: მუშირი დერვიშ-ფაშა მუდამ ერთსა და იმავე პასუხს ეუბნება, რომ დიდის სიამოვნებით გავიყვან ციხის-ძირიდამ და ბათუმიდამ ჩემ ჯარს და დაგითმობ ამ ადგილებსაო, მაგრამ მაგარი ეს არისო, რომ სტამბოლიდამ ჯერ არავითარი ბრძანება არ მიმიღიაო, მუდამ დღე მოველი და სხვ.

„რუსები დარწმუნებული არიან, რომ ეს სულ დერვიშ-ფაშის ეშმაკობაა. 1864 წელს ოსმალოები ბათუმში 40 მილიონ მანეთს სთხოვდნენ რუსეთს. რუსები ამბობენ, რომ, თუ ნებით არა, ძალით დავიჭერთ ჩვენ ციხის-ძირსა და ბათუმსაო..“

—

ამავე საგნის შესახებ რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში იწერებიან ფოთიდამ:

„როგორც ეტყობა დერვიშ-ფაშა ისეთივე დახელოვნებული პოლიტიკოსიც ყოფილა, როგორიც სტრატეგიკოსია. ამას წინათ იმან გამოუცხადა ქობულეთლებს, ხონთქრის ბრძანება არისო, რომ ახალი სისტემის (პიბოდის) თოფები ყველამ უნდა ისევ უკან წარმოადგინოთო. მაგრამ ქობულეთლებმა პირ-და-პირ გამოაცხადეს, რომ თოფებს უკან ველარ დაგიბრუნებთო, რადგან, როგორც გვესმის ოსმალოს ჯარებიც მიტოვებას გვიპირებთო და თუ რუსებმა ჩვენში შემოსელა განიზრახეს, ერთად-ერთი დამცველი ჩვენის ქვეყნისა ჩვენ ამ თოფებითაო.

„ამ დღეებში ლენ. ოკლობჟიო წავიდა ციხის-ძირში ამ საგნის თაობაზე თვითონ დერვიშ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად. დერვიშ-ფაშა დიდის ამბით მიეგება იმას ზღვის პირას, გადაეხვია, გადაკოცნა, თავის კარავში მიიპატიჟა, ჩინებული სადილი მიართვა, აქო იმის სამხედრო ნიჭი და მოქმედება... მაგრამ როდესაც ბათუმის დათმობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უთხრა, რომ საუბედუროთ ჯერ სტამბოლიდამ არავითარი განკარგულება არ მიმიღია ამის თაობაზედაო და ვერ დაგითმობთო; მამივა თუ არა ბრძანება, ორ დღეზე გავიყვან ჯარს ციხის-ძირიდამ და ბათუმიდამ და ჩაგაბარებთო და სხვ. და სხვ. ამნაირი ტკბილი სიტყვებით გამოისტუმრა დერვიშ-ფაშამ ლენ. ოკლობჟიო.“

—

ბრიუსელის გაზეთს „Indép. Belge“-ში იწერებიან სან-სტეფანოდამ:

„ლენერალ ტოტლებენის მოსელის შემდეგ, რუსებმა დაიწყეს აქ აჩქარებით გამაგრება მარმარილოს ზღვის ნაპირისა როდოსტოდამ დაწყებული სან-სტეფანომდი. საზოგადოთ იმ გარემოებას, რომ აქაურ რუსის არმიის მთავარ-სარდლად ლენ. ტოტლებენი დაინიშნა, იმით ჰხსნიან, რომ ალბათ ომი აუცილებელიაო.“

—

ამავე გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ოსმან-ფაშის ხელ-ქვეითი სტამბოლში არის ამ

რჩევა დიდ მნიშვნელობას არ მისცემს ამ მასწავლებლის ბალლებსო და კარგსაც იზამს, მართალი მოგახსენოთ..

—

მეორე ჩვენი პატარძალი სულ შემოგვაბერდა ხელში. აქამდის არაფერი არ ეშველა მის გათხოვებას. ჩამსხვილდა, მუკელიც გაუკეთდა, და საქრმო კი არსაიდამ გამოჩნდა აქამდის. მაგრამ მზითევი კი ბევრი შეიკრიბა. ახლა გვშორდება, მაგრამ ვაი იმ ოჯახის ბრალი, რომელშიაც ის შევა! ჩვენში მასწავლებელთ უზუცესი იყო, მთელი დიდი სასწავლებლის ბედი ხელში ეჭირა, მაგრამ რადგანაც უდროოთ ქონს ყელში მოესწრო, მზრუნველობის თავი არ ჰქონდა; თუ კი რამ კეთდებოდა სასწავლებელში, ისევ საზოგადოთ მასწავლებლების შეერთებულ ძალით, და არა მისი საქმის ცოდნით. იმ საქმარეულოს რაღა ეშველება, სადაც ახლა ძიჰყავთ ეს პატარძალი? იქ სახალხო შკოლების მზრუნველათ უნდა იქნეს, მაგრამ რას გაარიგებს, რადგანაც იქ უნივერსიტეტში ნასწავლი და რამდენიმეთ დახელოვნებულნი მასწავლებელნი არ ეყოლება და მარტო მაზედ იქნება მიგდებული საქმის წარმოება!

ხალხის განათლებას, მისი შვილების აღზრდას ეჭირვება ენერგია, ცოდნა ახალის პედაგოგიისა, და ჩვენ პატარძალს ფული უკვე მოხუცებული აქვს და უნივერსიტეტში გაგონილნი ლექციები დავიწყებულნი.

—

მესამე პატარძალი მეორეზე უფრო მეტათ ჩაგვიისუქდა. ტანიც მრგვალი, პირიც მრგვალი. თვალები ჩაჰკარგვია სიმსუქეში. ეს პატარძალი გათხოვილია, ცოლსა ჰყავს, მაგრამ მაინც ათხოვებენ აქედან. რა მიზეზია? თურმე ამ ჩვენმა რძალუამ ნამეტნავათ მტკიცეთ მოინდომა ფეხის ჩადგმა ამ ჩვენს ქალაქში, შენობეები გამართა, რომელთა შეხედვამ ერთობ შეაფიქრა დედამდილი: „აქ როგორღაც ვერ არის კარგათ საქმეო, ნამეტანი დიდი შენობა გამოსულაო“.

მაგრამ შესანიშნავია, რომ ამ პატარძალს, სულ კი არ მოაკლეს საქმის კეთება, არაძედ აგზავნიან ცოტათ მოშორებით, სადაც უფრო თავისუფლათ, მოშორებული დედამთილის ყურადღებას, დაუწყებს ქალმებს ბუდიდამ კვერცხების ამოლალებას და ყიდვას, რომ იქაც ამ კვერცხების ფასით, რომელთაგან თითეული, ვინ იცის რამდენი კრიახით და ტანჯვითაა დადებული, მამული მოიპოვოს, შენობა გამართოს. რომელ მაზრაშიაც კი ყოფილა ეს გვამი, ყოველგანა აქვს დატოვებული თავის საკუთარი მზრუნველობით მოპოებული საკუთრება. ამ გვამის თანამდებობის კაცი, თუ სინიდისიანათ მოიქცევა, ხშირათ უნდა დადიოდეს იმ ხალხში, რომლის ცხოვრების წესისა და რიგის დამცველათაა დაყენებული, დახედავდეს ხოლმე მოხელე კაცებს, რომელნიც გლეხებს უფრო მეტათ სულს უწუხებს, ვიდრე ნეტარხსენებულს ბატონყმობის დროს და უჩასტკინაჩალნიკობის დროს ბატონები და უჩასტკის ნაჩალნიკები.

მაგრამ არა, ჩვენ ძალუას ქალაქიდან ფეხის მოცველა ეზარება, უნდა, რომ დედამთილი შეიქციოს სხვა-და-სხვა ნაირ თამაშობით, რომლებში უმეტეს ნაწილათ აგვებს ხოლმე, რომ დედამთილს კული გაუკეთოს. არც ეკარგება რამე ამ ფეხ-მოუცველლობით, თავის ულუფა, სადაც უნდა იყოს, მაინც მოუვა. ისისთანა თქვენს მტერს, ერთხელ მას საქმე მოსვლია! ნამეტნავათ გათამამდა თურმე დედამთილთან თამაშში, და ერთს მოთამაშეს, დედამთილის იქ დასწრებით, წამოტორტლა და ისეთი შეურაცხყოფითი სიტყვა უთხრა, რომ დედამთილიც გააჯავრა, რომელიც იმ წამში გაიქცა. რძალუა უკან გამოუდგა დედამთილს დაღჯანულის და მთხოვნელის სახით, რომ მიეტევებია მასთან ამნაირათ სხეისი გალანძღვა. მაგრამ ჯერ არაფერი გაეწყო... ვაი თუ შერიგდნენ!

29 აპრილს.

ქამად 110,000 კაცი, ჩინებულად დაიარაღებული და კარგათ გაწვრთვნილი ჯარი. ყველაფერში ეტყობა, რომ ოსმალეთი საომრად ემზადება. ამბობენ კია, რომ ღენ. ტოტლებენს სულაც არა აქვს განზრახვა, რომ სტამბოლი დაიჭიროს რუსის ჯარებით.

—

გაზეთს „Presse“-ს სწერენ სტამბოლიდამ:

„მუდამ დღე მიდიან პოლშელები აქაურ ინგლისის ელჩთან ლეიარდთან და ეწერებიან ინგლისის ჯარში რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებათ. ათასზე მეტია ახლა ჩაწერილი. ლეიარდი ყველას ღებულობს და 20 მანეთს და თოფ-იარაღს აძლევს იმათ წინათვე.“

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდა-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი ფაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—16)

განცხადებანი

ყმაწვილ კაცს

ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას ჰსურს აძლიოს ამ ენის პრაქტიული და თეორიული გაკვეთილები. თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

(5—3)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფ ნიძის ბიბლიოთეკაში.

ანგარიში

რუსისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

1-ის იანვრიდგან ვიდრე 1-ს აპრილამდინ 1878 წლისა.

შემოსავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	191	„
სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ მეორე ვადის მიცემის დროს — — —	83	57
ჯარიმა— — — — — — —	—	8
დაბრუნებული სესხი — —	789	„
სასარგებლოთ შემოტანილი	565	„
ნასესხი— — — — — —	428	„
სათადარიგო თანხა— — —	13	41
სულ—	2170	6

გასავალი

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	1	„
სესხათ მიცემული— — —	1,377	„
სარგებელი ვალის წინათ გადახდილის სესხისა — —	6	8
ნასესხი — — — — — —	500	—
სარგებელი ნასესხისა — —	1	65
მმართველობის ხარჯი— —	59	80
სხვა-და-სხვა ხარჯი— — —	5	10
ბრუნვისა — — — — —	13	41
სულ—	1964	4

1-ს აპრილს 1878 წელისა იმყოფება:

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	1,123	65
სასარგებლოთ შემოტანილი	585	„
ნასესხი— — — — — —	988	„
სათადარიგო თანხა — —	14	93
წმინდა მოგება— — — —	11	2
სულ—	2722	60

	მან.	კაპ.
სესხათ მიცემული — —	2470	95
დარჩენილი ნაღდ ფულათ ყუთში — — — — —	251	66
სულ—	2722	60

წევრნი მმართველნი } აზ. მიხაილ ქლიმიევი, სოსია მღებრიშვილი, ესტატე ბუზიაშვილი.

რაკ. გზა.	ღილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ქვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ქვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 29 აპრილს		
ფქვ. თ. ბანჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	50
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	—
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	40
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გოგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბაერინსკი—ქალის და ოგბრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Мая 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.